საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

2018 წლის ანგარიში პროგრამების შესახებ

1. **სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**

<u>თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</u>

1.1 **პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი** <u>საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება</u> (პროგრამული კოდი 30 01)

განმახორციელებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები (30 01 01) და საქართველოს სასაზღვრო პოლიცია (30 01 02)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 01	<u>საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/ გაღრმავება</u>	576 610.0	581 262,6	580 334.6	99,84%	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში დასრულდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროექტის პირველი ფაზა;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს საპილოტე პროექტის მეორე ფაზის დაგეგმვა;
- დასრულდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამის შეფასების დოკუმენტზე მუშაობა;
- ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პროგრამაში ჩართული პირების შესაძლებლობების განვითარების მიზნით, 2018 წლის 1 მარტიდან 14-მა ანალიტიკოსმა გაიარა სტაჟირება შსს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში;

- დასრულდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვის მიზნით, შემუშავებული პროექტის (e-Police) ტექნიკური დავალების შემუშავების პროცესი. გრძელდება მუშაობა ინციდენტების აღრიცხვის ერთიანი ინფორმაციული სისტემის (e-Police) განვითარებაზე;
- საანგარიშო პერიოდში, მართლწესრიგის ოფიცრებისთვის შემუშავდა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც „e-Police"-ის შემადგენელ ერთ-ერთ მოდულს წარმოადგენს. ოფიცრები, პორტატული პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით, კომპეტენციას მიკუთვნებული ინციდენტების რეგისტრაციას, სისტემატიზაციას და შემდგომ, ინტერაქტიული რუკის სამაგიდო ვერსიაზე პირველად დამუშავებას განახორციელებენ;
- საანგარიშო პერიოდის ბოლოს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სამმართველოში გაეშვა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროექტი. საპილოტე პროექტის ფარგლებში მართლწესრიგის ოფიცრის თანამდებობაზე გადაინიშნა 64 შსს-ს მოქმედი თანამშრომელი, რომლებმაც წინასწარ გაიარეს მართლწესრიგის ოფიცრის გადამზადების კურსი;
- 2018 წლის 26 მაისს ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად მონაწილეობას იღებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ. ამასთანავე, ღონისძიების სტუმრები გაეცნენ საქართველოს ბოლო 100 წლის ისტორიას;
- 2018 წლის 31 მაისს ჩატარდა პოლიციელის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიებაზე სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებს ჰქონდათ საშუალება მოსახლეობისთვის გაეცნოთ სამომავლო გეგმები;
- საანაგრიშო პერიოდში საზოგადოების ინფორმირების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია კრიმინალთან ბრძოლის მიმართულებით, რაც გულისხმობს ინფორმაციის გავრცელებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით (საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზია, რადიო, სოციალური ქსელი და ა.შ.);
- განხორციელდა მარკეტინგული კამპანია (ღია კარის დღეები, საიმიჯო ვიდეორგოლი, განცხადებები და ა.შ) მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის საზოგადოებისთვის გაცნობისა და ოფიცრების რეკრუტირების მიმართულებით. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტზე ინტეგრირებული მარკეტინგული კამპანიის შედეგად, დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობამ შეადგინა 3 340 ერთეული;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა საინფორმაციო მასალების (ვიდეომასალა, ბრიფინგები) მომზადება და გავრცელება ტელევიზიის, ონლაინ საინფორმაციო სააგენტოების, სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით;
- ქვეყანაში არსებული საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლების, ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის და საზოგადოების ცნობიერების გაზრდის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინტენსიურად ხორციელდებოდა შესაბამისი ღონისძიებები და პრე-საინფორმაციო კამპანიები;
- პერიოდულად ხორციელდებოდა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების განახლება;
- საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის, დანაშაულის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით, შესყიდული იქნა სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი 92 სერვერი;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტების მიერ შესყიდული იქნა 1 837 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა (ასევე, კვების ბლოკი);
- შეძენილი იქნა ზოგადი ხედვის ვიდეოკამერებისთვის გათვალისწინებული 1 100 ლიცენზიის სერვერული ინფრასტრუქტურა;

- სააქციო საზოგადოება ,,სილქნეტთან“ გაფორმდა 5-წლიანი ხელშეკრულება, რომლის ფარგელბშიც საანგარიშო პერიოდში საქართველოს მასშტაბით 1 170 საკომუნიკაციო წერტილზე განხორციელდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის/რადიო-სარელეო ხაზის მოწყობა;
- საშუალო სიჩქარის კონტროლისა და საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების მიზნით საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე საანგარიშო პერიოდში ამოქმედდა 28 საშუალო სიჩქარის კონტროლის სექცია;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, საქართველოს მასშტაბით სრული დატვირთვით ამოქმედდა 514 ვიდეოკამერა, მათ შორის 147 ნომრის ამომცნობი და 364 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა;
- კონკრეტულ საგზაო მონაკვეთებზე, სიჩქარის კონტროლის მიზნით, საქართველოს მასშტაბით ამოქმედდა 18 სიჩქარის მზომი წერტილოვანი რადარი;
- საგზაო უსაფრთხოების ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრაქტიკაში პირველად დაიწყო შიდა ტრანზიტული სანომრე ნიშნებით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების დაჯარიმება ფოტო-ვიდეო ტექნიკის გამოყენებით;
- მონაცემთა დაარქივების მიზნით შეძენილია შემნახველი მასივი;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება საქართველოს მასშტაბით პოლიციის შენობების (219 ობიექტის) ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის სტანდარტიზაცია, 2018 წლის განმავლობაში შესაბამისი სამუშაოები განხორციელდა ქ. თბილისის 24 განყოფილებაში;
- სრულად განახლდა და სტანდარტების შესაბამისად მოეწყო შსს-ს დროებითი მოთავსების 6 (თბილისის, თელავის, ქუთაისის, ბათუმის, ახალქალაქის და გორის იზოლატორები) იზოლატორის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა;
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ თურქეთის რესპუბლიკაში, რომლის ფარგლებში ქ. ანკარასა და სტამბულში გაიმართა ერთობლივი კომისიის შეხვედრები. შეხვედრებზე განხილული იქნა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისა და ორმხრივი საპოლიციო თანამშრომლობის საკითხები;
- 2018 წლის თებერვალში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გერმანიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა მინისტრს, ჰერბერტ როილს შეხვდა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გერმანიის რეპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ასევე, შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ფედერალური მიწის კრიმინალური პოლიციის სამსახურის უფროსს ფრანკ ჰოევერსა და ჩრდილოეთ ვესტფალიის ფედერალური მიწის ბავშვთა, ოჯახის, ლტოლვილთა და ინტეგრაციის საქმეთა მინისტრის მოადგილეს ანდრეას ბოთეს. შეხვედრაზე განხილული იქნა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები და თანამშრომლობის სამომავლო გეგმები;
- ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართა: ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს გენერალურ მდივანთან პეტერ გოლდგრუბერთან, ავსტრიის რესპუბლიკის კრიმინალური პოლიციის ფედერალური სამსახურის დირექტორთან ფრანც ლანგთან და ფედერალური სამინისტროს სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ სერბეთში. ვიზიტის ფარგლებში მოხდა ინფორმაციის გაცვლა „საქართველოს მთავრობასა და სერბეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების პროექტსა და „საქართველოს მთავრობასა და სერბეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების პროექტის შესახებ მათი ხელმოსაწერად მომზადების მიზნით. აგრეთვე, მოხდა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის მართვის საკითხში სერბეთის გამოცდილების გაზიარება;

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საქართველოს ვიცე–პრემიერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი ლიეტუვის რესპუბლიკაში. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ლიეტუვის შინაგან საქმეთა მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და ლიეტუვის ეროვნული პოლიციის უფროსთან;
- განხორციელდა რაინლანდ–პფალცის შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში. შეხვედრები გაიმართა საქართველოს შს მინისტრთან, შს მინისტრის პირველ მოადგილესთან, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორთან, შსს აკადემიის რექტორთან;
- განხორციელდა საქართველოს ვიცე–პრემიერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა გერმანიის შინაგან საქმეთა, მშენებლობისა და სამშობლოს საკითხთა ფედერალურ მინისტრთან ბ–ნ ჰორსტ ზეეჰოფერთან;
- განხორციელდა სამინისტროს მოსამსახურეების ვიზიტი ქ. კიევში სუამ–ის კიბერუსაფრთხოების სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მიზნით. სამუშაო ჯგუფმა განიხილა და შეათანხმა სუამ–ის წევრ სახელმწიფოებს შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის ტექსტი;
- განხორციელდა სამინისტროს მოსამსახურეების ვიზიტი ისრაელის სახელმწიფოში საერთაშორისო შიდა უსაფრთხოების ფორუმში მონაწილეობის მიზნით. ვიზიტის ფარგლებში ასევე, გაიმართა შეხვედრები ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან;
- განხორციელდა ბრაზილიის იუსტიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრის ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა საქართველოს ვიცე პრემიერთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან;
- განხორციელდა ავსტრალიის პოლიციის ატაშეების ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და შსს ერთობლივი ოპერაციების ცენტრის ხელმძღვანელებთან;
- განხორციელდა საქართველოს დელეგაციის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ“ შეთანხმებაზე ჩინურ მხარესთან მოლაპარაკებების გამართვა;
- აზერბაიჯანში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს ვიცე–პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი აზერბაიჯანში. გაიმართა ორმხრივი შეხვედრა აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრთან. მინისტრებმა იმსჯელეს ნარკოტრაფიკის კონტროლის მიზნით, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერებაზე;
- განხორციელდა საქართველოს ვიცე–პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი უკრაინაში და გაიმართა შეხვედრა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრთან. მხარეებმა იმსჯელეს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სახელმწიფოთაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნაზე;
- ევროპოლის ეგიდით ქ. ჰააგაში განთავსებულ ევროპოლის შტაბ–ბინაში გაიმართა ევროპის პოლიციის უფროსთა ყოველწლიური კონფერენცია (EPCC), რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამინისტროს ორმა თანამშრომელმა;
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარიგზავნა მეკავშირე ოფიცერი ევროპოლში;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშემ პოლონეთის რესპუბლიკაში, მიიღო აკრედიტაცია ესტონეთის რესპუბლიკაში, ლატვიასა და ლიეტუვაში;
- დაინიშნა პოლიციის ატაშე ჩეხეთის რესპუბლიკაში;
- საქართველოს შსს-ს პოლიციის ატაშემ შვედეთის სამეფოში მიიღო აკრედიტაცია ფინეთსა და დანიაში;

საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო - საგანმანათლებლო პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის „ა საჯარო სკოლებისთვის“ ფარგლებში 89 საჯარო სკოლის 11-ე და 9-ე კლასის მოსწავლეებს ჩაუტარდათ საინფორმაციო-საგანმანათლებლო სემინარები კიბერუსაფრთხოების, მართლწესრიგის, ოჯახში ძალადობის და “ბულინგის” თემატიკაზე. მოსწავლეები ასევე, ესტუმრნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს: სსიპ-112-ს, საექსპერტო–კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს, შსს აკადემიას, სასაზღვრო პოლიციასა და სსიპ - მომსახურების სააგენტოს.

სამინისტროსა და მისი დანაყოფების საქმიანობის შესახებ მომზადდა საინფორმაციო ტიპის ვიდეო და გრაფიკული რგოლები.

ქვეყნის მასშტაბით ყველა იზოლატორისთვის შეძენილი იქნა ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილი სამაგიდე თამაშები (დომინო და ჭადრაკი). აღნიშნული აქტივობის განხორციელებით გათვალისწინებული იქნა ევროპის წამების პრევენციის კომიტეტის რეკომენდაცია, რომელიც ჯერ კიდევ 7 წლის წინ იქნა გაცემული; საანგარიშო პერიოდში დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ინიციატივით იზოლატორებში მოხდა წიგნების რაოდენობის გაზრდა. წიგნები ხელმისაწვდომია რამდენიმე ენაზე.

კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა აღკვეთის მიზნით, საანგარიშო პერიოდში:

- სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის დაკავებული იქნა - 74 პირი;
- სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობაზე დაკავებული იქნა - 97 პირი;
- სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისთვის დაკავებული იქნა - 1052 პირი;
- სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მიერ, საქართველოს საზღვაო სივრცეში დაფიქსირდა 216 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და სისხლის სამართლის დანაშაულის 2 ფაქტი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული თანხის ოდენობამ შეადგინა დაახლოებით 1 115 000 ლარი;
- საქართველოს საზღვაო სივრცის აფხაზეთის ოკუპირებულ მონაკვეთზე გამოვლენილი იქნა „ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესების“ დარღვევის 93 ფაქტი;

სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მოსამსახურეებმა:

- დახმარება გაუწიეს - 45 მცურავ საშუალებას და 3 ადამიანს;
- გადაარჩინეს - 40 ადამიანი.
- საანგარიშო პერიოდში, სანაპირო დაცვის სადგურების მიერ გაცილებულ იქნა ტერიტორიულ წყლებსა და მიმდებარე ზონაში გადაადგილებული - 5 958 მცურავი საშუალება, შემოწმდა - 297 არასამხედრო გემი.
- სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:
  - საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის მონიტორინგი;
  - სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპატამენტის N5, N6, N7 სამმართველოების პირადი შემადგენლობის როტაცია და მათი სურსათითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;
  - სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობა;
  - ხანძრის სალიკვიდაციო ოპერაციებში მონაწილეობა;
  - საფრენოსნო შემადგენლობის პროფესიული უნარ-ჩვევების შენარჩუნების სასაწავლო-სავარჯიშო ფრენები;
  - საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით ფრენები თბილისი-ომალო-თბილისის მიმართულებით;

- სააგანარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ბელარუსის რესპუბლიკის ქ. ორშანსკის საავიაციო-სარემონტო ქარხანაში 4 მი-8 ტიპის შვეულმფრენის კაპიტალური რემონტი და მოდერნიზება;
- სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებმა საანგარიშო პერიოდში გაიარეს სასწავლო კურსები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ;

საანგარიშო პერიოდში დაიწყო, მიმდინარეობს და რიგ შემთხვევებში დასრულდა სხვადასხვა კაპიტალური პროექტები:

- დაიწყო და გრძელდება ქ.რუსთავში XX მიკრო/რაიონს, XXI მიკრო/რაიონსა და ლეონიძის ქუჩას შორის მიმდებარედ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 02.03.06.047 შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა;
- დაიწყო და გრძელდება ქ. ბათუმი, ადლიას ქ. N112-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა;
- დაიწყო და გრძელდება ქ. ზუგდიდში ბენდელიანის ქ. N35-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ს/კ 43.31.71.099 და ს/კ 43.31.71.100 შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა;
- დაიწყო და გრძელდება ქ. ქუთაისში ნიკეას ქ. N19 (ნაკვეთი N1-1) მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 03.05.22.707, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა;
- დასრულდა ავიაციის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სახურავის სარემონტო სამუშაოები;
- სასაზღვრო პოლიციის ცენტრალურ ოფისში მოეწყო იარაღის საცავი ოთახი;
- ჩატარდა სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ შერჩეული მიწის ნაკვეთების (,,კასუმლო“, ,,გუგუთი“, „კატნატუ“, „ხრიანი“ და „სამება“) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები;
- განხორციელდა N3 სამმართველოს სასაზღვრო სექტორებზე "სადახლო" და "გუგუთი" სასერვერო ოთახების მოწყობა;
- განხორციელდა N3 სამმართველოს სასაზღვრო სექტორზე "უდაბნო" სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა N5 სამმართველოს (ლაგოდეხი) სასაზღვრო სექტორის „ახალსოფელი“ გაზიფიცირება;
- დასრულდა N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) გათბობის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) სასაზღვრო სექტორის „სადახლო“ გაზიფიცირება;
- N3 სამმართველოს სასაზღვრო სექტორებზე "სადახლო" და "გუგუთი" „BOMS“-ის პროექტის მოთხოვნათა შესრულების მიზნით მოეწყო სასერვერო ოთახები;

2013 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს სამინისტროს თანამშრომლებზე ერთჯერადი დახმარებების გაცემა ოჯახის წევრის გარდაცვალების (მეუღლე, შვილი, დედა, მამა), დაქორწინებისა და შვილის შეძენის შემთხვევაში. ასევე, სამინისტროს იმ თანამშრომლებზე, ვისაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი ხორციელდება მინისტრის მიერ დაწესებული შესაბამისი დანამატის გაცემა.

განახლდა სამინისტროს მატერიალურ ტექნიკური ბაზა;

საანგარიშო პერიოდში შეძენილი იქნა 150 ერთეული საპატრულო პოლიციის ავტომანქანა, ასევე, 10 ცალი მაღალი გამავლობის და 10 ცალი მსუბუქი სატრანსპორტო საშუალება;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- გაძლიერებული პრევენციული და საგამოძიებო ფუნქციები (ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერების სისტემის ჩამოყალიბება);
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განვითარებული ოპერატიული და საერთაშორისო თანამშრომლობა;
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა ამაღლებული ცნობიერება;
- უზრუნველყოფილი სახელმწიფო საზღვრის დაცვა;
- განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- რეაბილიტირებული/აშენებული ინფრასტრუქტურა;
- უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და დანაშაულთან ბრძოლა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტების მიერ შესყიდული ზოგადი ხედვის ვიდეოკამერები;

საანგარიშო პერიოდში გაფორმებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები, პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ერთობლივი პროგრამების ფარგლებში ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებები;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის;

სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედაგეგად აღკვეთილი საზღვრის უკანონო დარღვევის ფაქტები;

განხორციელებული ღონისძიებების საფუძველზე, სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში და საქართველოს საზღვაო სივრცეში შემცირებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები;

ნაოსნობის უსაფრთხოების და წესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;

ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, ზღვაზე ჩატარებული სამაშველო ოპერაციები და მცურავი საშუალებებისთვის აღმოჩენილი დახმარება;

განახლებული სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

რეაბილიტირებული და აშენებული სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. ***დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი*** - პრევენციული და საგამოძიებო ღონისძიებების მეტი ეფექტიანობისთვის ქვეყნის მასშტაბით ვიდეოსამეთვალყურეო სისტემაში ჩართულია 1000 ე.წ. „ჭკვიანი“ კამერა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ქსელში ჩართული დამატებით 1 500 კამერა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში ქსელში ჩაირთო დამატებით 1 407 კამერა;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დარჩენილი 93 კამერის ჩართვა ქსელში ვერ მოხერხდა ვინაიდან კამერის ქსელში ჩართვა დამოკიდებულია ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელის მიყვანაზე შესაბამის წერტილებთან, რაც ვერ განხორციელდა ვინაიდან საანაგრიშო პერიოდის განმავლობაში გადაიხედა კამერების ლოკაციები და დაზუსტდა მათი განთავსების ადგილები, შესაბამისად, საჭირო გახდა დამატებით არაგეგმიური სამუშაოების განხორციელება რამაც შეაფერხა კამერების ქსელში ჩართვის პროცესი.

2. ***დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი*** - სამინისტრო ახორციელებს ეფექტიან საერთაშორისო თანამშრომლობას დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების და ერთობლივი პროგრამების განხორციელების გზით, დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის სფეროში ხელშეკრულება გაფორმებულია 29 ქვეყანასთან, უკანონოდ მყოფ პირთა რეადმისიისა და უკანონო მიგრაციის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ გაფორმებულია 7 ხელშეკრულება და 10 საიმპლემენტაციო ოქმი, საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ გაფორმებულია 12 ხელშეკრულება.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - გაფორმებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაზრდილი რაოდენობა, პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ერთობლივი პროგრამების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების (სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები და სწავლება) გაზრდილი რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, სამინისტროს მაღალი რანგის დელეგაციასთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ნიდერლანდებში, ქ. ჰააგაში განთავსებულ ევროპოლის შტაბ-ბინაში. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი შეხვდა ევროპოლის აღმასრულებელ დირექტორს რობ უეინრაითს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და ევროპოლის აღმასრულებელმა დირექტორმა ხელი მოაწერეს „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე“ ურთიერთგაგების მემორანდუმს და „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის მეკავშირეობის შესახებ“ შეთანხმებას;

თურქეთის რესპუბლიკის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმს;

განხორციელდა საქართველოს ვიცე–პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი საფრანგეთის რესპუბლიკაში. ხელი მოეწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და

საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სპეციალისტების ერთობლივი ჯგუფის შექმნის თაობაზე“ ტექნიკურ შეთანხმებას;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია გაემგზავრა უკრაინაში სპეცდანიშნულების რაზმების წარმომადგენლებს საერთაშორისო ტურნირზე „KORD Challenge 2018”;

ხელი მოეწერა ერთობლივ განცხადებას „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის მთავრობას შორის დანაშაულის, განსაკუთრებით კი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ზომების შემდგომი გაძლიერების შესახებ“. აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოეწერა ქ. სტოკჰოლმში და ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

3. ***დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი*** - 2015 წლიდან სამინისტრო მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამას „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“, რომელშიც სამინისტროს 9 ქვედანაყოფია ჩართული, პროექტის დაწყებიდან 4500-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ შეხვედრებში;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საინფორმაციო შეხვედრებში ჩართული 2 000 მოსწავლე.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“, საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 2 000-მდე მოსწავლემ.

4. ***დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი*** - მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სახელმწიფო საზღვრის (კონტროლირებადი 85%-ის) დაცვა, საჭიროა განხორციელდეს სასაზღვრო სექტორების ჩართვა მაღალსიჩქარიან ინტერნეტ ქსელში, აუცილებელია საზღვრის რისკების შეფასების ერთიანი მექანიზმის ჩამოყალიბება და ინფორმაციის გაცვლის საერთო პლატფორმის შექმნა (საინფორმაციო ბაზა). ასევე, სასაზღვრო სექტორების აღჭურვა ვიდეოდაკვირვებისა და სამართალდარღვევათა აღმოჩენის სენსორული ტექნოლოგიებით, სასაზღვრო ინფსრასტრუქტურის ნაწილი შესაბამისობაში არის მოსაყვანი თანამედროვე სტანდარტებთან. სასაზღვრო სექტორების ნაწილი არ არის ელექტროფიცირებული და გაზიფიცირებული, რაც აფერხებს სექტორების ჩართვას ინტერნეტ ქსელში და ზამთრის პერიოდში გართულებულია მათი გათბობის შესაძლებლობა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან წვდომა სექტორების 70 %-სათვის, სახელმწიფო საზღვრის რისკების შეფასება ერთიანი მეთოდოლოგიის შესაბამისად და ჩართული სასაზღვრო ინციდენტების რეგისტრაციის (მოხსენების) სისტემა სექტორების 70%-ზე, ფოტო-ვიდეო დაკვირვებისა და სამართალდარღვევათა აღმოჩენის სენსორული ტექნოლოგიებით აღჭურვილი 2 მაღალი რისკის მქონე სასაზღვრო სექტორი, გაზიფიცირებული და ელექტროფიცირებული სასაზღვრო სექტორების რაოდენობა, რეაბილიტირებული სასაზღვრო სექტორების რაოდენობა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფილი N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) სექტორი „ბულდაზორი“, გაზიფიცირებული N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) სექტორი “სადახლო“ და ელექტროფიცირებული N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) სექტორი „ლოქჯანდარი“, აშენებული N2 სამმართველოს (ახალციხე) სექტორი „ჭარალი“ და რეაბილიტირებული N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) სექტორი „გუგუთი“;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ფოტო-ვიდეო დაკვირვებისა და სამართალდარღვევათა

აღმოჩენის სენსორული ტექნოლოგიებით 2 მაღალი რისკის მქონე სასაზღვრო სექტორის აღჭურვა არ შესრულებულა 2018 წლის საბიუჯეტო ასიგნებებით, ვინაიდან, აღნიშნული სექტორების აღჭურვა დონორის (დიტრა) 2018-2019 წლების გეგმაში იქნა შეტანილი (ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა), მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო საზღვრის რისკების შეფასების ერთიანი მეთოდოლოგიისა და სასაზღვრო ინციდენტების რეგისტრაციის (მოხსენების) სისტემა „BORS"-ის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად, აღნიშნულ სისტემაში სატესტო რეჟიმში ჩართულია N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) სექტორები: **„ირგანჩაი", „გუგუთი", „ლოქჯანდარი", „ახკერპი", „ბულდაზორი", „სადახლო", „კასუმლო", „წითელი ხიდი", „ვახტანგისი", „ჭანარი", „ჯანდარა", „უდაბნო"**

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით გასაახლებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 70 %;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 15% -ით განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანაგრიშო პერიოდში მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების მიზნით შეძენილია: 844 ცალი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის კომპლექტი, რადიო-სარელეო ქსელური აპარატურა, შსს ერთობლივი ოპერაციების ცენტრის (დეპარტამენტი) მოთხოვნის უზრუნველსაყოფად უწყვეტი კვების წყაროების კომპლექტების (თანმდევი მომსახურებით - კონკრეტულ ბოძებზე განთავსებით), 35 ცალი ფოტო ხაფანგი, 648 ცალი მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი, 665 ცალი სტანდარტული უწყვეტი კვების წყარო, 10 ცალი ლეპტოპი, 50 ცალი ერთფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი, შესაძლებლობებისა და ფუნქციონალის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და 400 (ოთხასი) ცალი მუდმივმოქმედი ლიცენზია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისთვის განკუთვნილი სამხრე კამერების კომპონენტების შესყიდვა (სერვერული ინფრასტრუქტურის და შემნახველი მასივის, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია და პირველად გამართვა), 1 300 ცალი სახელმწიფო სანომრე ნიშნის ამომცნობი ვიდეოკამერის ვიდეოანალიტიკურ პროგრამა ISS SecureOS-ში ეფექტურად ფუნქციონირებისთვის საჭირო სერვერები თანმდევი მომსახურებით, ვიდეო მენეჯმენტ პროგრამა მაილსტოუნის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის საჭირო სერვერული ტექნიკა, ქსელის კაბელების შესყიდვა, შსს ერთობლივი ოპერაციების ცენტრის ბაზაზე დანერგილი ვიდეო-ანალიტიკური პროგრამებისთვის განკუთვნილი ქსელური აპარატურა, ციმციმა ხმამაღლა მოლაპარაკე მოწყობილობები, სპექტრალური ლუმინესცენტური მიკროსკოპი, 20 ცალი კამერა, 20 ცალი საავტომობილო ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, 30 ცალი სკანერი, 325 ცალი გორგოლაჭიანი და საოფისე სავარძელი, საქართველოს მასშტაბით 17 ადმინისტრაციული შენობისთვის (მ.შ. პოლიციის შენობები და დროებითი დაკავების იზოლატორები) ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემები (მონტაჟით), საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისთვის ლუმინესცენტური მიკროსკოპი, ჰაბიტოსკოპიური სისტემის - "POLYFACE"-ის პროგრამული უზრუნველყოფა, ავტოსაგზაო შემთხვევის ვირტუალური რეკონსტრუქციის პროგრამა "Virtual Crash 2.2„, პროგრამული უზრუნველყოფის "Magnet Forensics"-ის (IEF USB, IEF Module - Mobile Artifacts, IEF Module- Business Application & OS Artifacts, SMS- IEF, SMS - IEF Module - Mobile Artifacts, SMS - IEF Module - Business Application & OS Artifacts), ბალისტიკური ავტომატური საძიებო საიდენტიფიკაციო სისტემა.

6. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - რეაბილიტირებული და თავიდან აშენებულია სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობების 60%;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დამატებით აშენებული და გარემონტებული პოლიციის შენობების საერთო რაოდენობის 15%;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - განხორციელდა ქ. თბილისში, გულუას ქუჩა N6-სა და N8-ს შორის მდებარე შსს ბალანსზე რიცხულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების მეორე ფაზა (დაიწყო 2017 წელს) - რკინა-ბეტონის კარკასის დასრულების სამშენებლო სამუშაოები;

- განხორციელდა ქ. თბილისში, ნოე რამიშვილის ქ. N38-ში განთავსებულ ადმინისტრაციულ შენობაში საპატრულო პოლიციის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის მოწყობის სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. თბილისში გულუას ქ.N6-ში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეფუთვის და მე-5 სართულის სარემონტო სამუშაოები;
- განხორციელდა ქ. ზუგდიდში, გორის ქ. N 3-ში მდებარე, შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები (დაიწყო 2017 წელს);
- განხორციელდა ქ. თბილისში, ი. ცურტაველის ქუჩა N29-ში შსს ადმინისტრაციულ შენობასთან არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტის მოწყობის, ყაზარმის სარემონტო სამუშაოები და ქ. თბილისში, კ. ჩალაძის ქ. N1-ში მდებარე ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის და ტერიტორიაზე გადახურული ფარდულის მოწყობის სამუშაოები (დაიწყო 2017 წელს);
- განხორციელდა ქ. თბილისში, პოლიციის ქ. N10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო და ახალი ავტოფარეხის სამშენებლო სამუშაოები (დაიწყო 2017 წელს);
- განხორციელდა ქ. თბილისში, ნოე რამიშვილის ქ. N38-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტული მოედნის და ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. N5-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შეიარაღების სამმართველოს სახელოსნო-საწყობის სარემონტო სამუშაოები (დაიწყო 2017 წელს);
- განხორციელდა ქ.თბილისი, გულუას ქ.N10-ში მდებარე, შსს ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე, ოფიციალური ბრიფინგების ჩასატარებლად დარბაზის მოწყობის სამუშაოები;
- განხორციელდა ქ. ზუგდიდში, სოხუმის ქუჩა N1-ში მდებარე, პოლიციის სამმართველოს შენობის სარემონტო სამუშაოების, ქ. ზუგდიდში, სოფელ ანაკლიაში მდებარე, პოლიციის განყოფილების სარემონტო სამუშაოების, ქ. ზუგდიდში, ბერანძის ქუჩა N9-ში მდებარე, გდდ-ს ტერიტორიაზე ავტოფარეხის სამშენებლო სამუშაოების და ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩა N146-ში მდებარე, პოლიციის განყოფილების სარემონტო სამუშაოები;
- განხორციელდა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ოძისში მდებარე შსს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალგორის რაიონული სამმართველოს საოკუპაციო საზღვრის გამტარ პუნქტზე სველი წერტილის მოწყობის და სასადილოს სარემონტო სამუშაოების, ქ. გორში, მშვიდობის ქ. N2-ში მდებარე შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო სამუშაოების და ქ. გორში, სუხიშვილის ქ. N2-ში მდებარე შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო და შენობის ცენტრალური შესასვლელი კიბის მოპირკეთების სამუშაოები;
- განხორციელდა ქ. თბილისში, გოგოლის ქუჩა N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- განხორციელდა ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. N5-ში მდებარე შს სამინისტროს სასაწყობე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე N1/1 საწყობის შენობის დემონტაჟი და ახალი სასაწყობე შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- განხორციელდა სოფელ ავრალოში მდებარე, წალკის რაიონული სამმართველოს ავრანლოს განყოფილების შენობასა და შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული

სამმართველოს გაჩიანის პოლიციის განყოფილების შენობაში სარემონტო და შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს ვაზიანის პოლიციის განყოფილების ტერიტორიაზე საშხაპის, სველი წერტილის და საკანალიზაციო ჭის მოწყობის სამუშაოები;

- განხორციელდა შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონული სამმართველოს და გორის რაიონის სოფელ დიცში მდებარე, ქურთის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოები;
- სარემონტო სამუშაოები განხორციელდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში (განყოფილება) (ქ.მცხეთა);
- მოეწყო სამედიცინო ოთახები საგარეჯოსა და ზესტაფონის დროებითი მოთავსების იზოლატორებში.
- დაიწყო და გრძელდება ქ. ბოლნისში, აღმაშენებლის ქუჩა N62-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. თბილისში გულუას ქ. N6-ში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეფუთვის სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. რუსთავში, XII მ/რაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე შს სამინისტროს ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- განხორციელდა ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. N1-ში მდებარე, შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შენობა N4 (1)-ზე მიშენების სამუშაოები და ქ. თბილისში, პოლიციის ქ. N10-ში მდებარე, შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სახურავის შეცვლის სამუშაოები;
- განხორციელდა ქ. თბილისში, გულუას ქ. N10-ში მდებარე შსს ადმინისტრაციულ შენობაში მე-2 სართულზე ოფიციალური შეხვედრებისთვის საკონფერენციო ოთახის მოწყობის სამუშაოები და ამავე შენობის მე-6 სართულზე სველი წერტილის სარემონტო სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. შესახვევის II, N2 ს/კ 01.11.05 .029.181 სასროლეთის (ტირი) შენობის მშენებლობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. თბილისში გულუას ქ. N6-ში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. თბილისში, გულუას ქ. N6-ში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარდაფში, სასროლეთის (ტირის) მოწყობის სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჟინვალში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 71.52.03.094 შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, დუშეთის რაიონული სამმართველოს, ჟინვალის პოლიციის განყოფილების შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ.თბილისში ქერჩის ქ. N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. თბილისში, ავჭალის ქ. N17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.12.06.634) შსს დროებითი მოთავსების იზოლატორის მშენებლობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. თბილისში, გულუას ქ. N8-ში შსს ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე სარემონტო სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ.ბათუმში, აბუსერიძის ქ. N11-ში მდებარე შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის შენობის სარემონტო სამუშაოები, ასევე, ქ.ბათუმში აბუსერიძის ქ. N11-ში მდებარე შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტისთვის ნივთმტკიცების ოთახის მოწყობის სამუშაოები;

- დაიწყო და გრძელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ.მარტყოფში მდებარე შსს მიგრაციის დეპარტამენტის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის "ა" კორპუსის (ს/კ 81.10.09.339) სარემონტო სამუშაოები;
- დაიწყო და გრძელდება ქ. ფოთში, მშვიდობის ქ. N6-ში მდებარე, შსს სამეგრელო–ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ფოთის საქალაქო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები და ქ. სამტრედიაში, რუსთაველის ქ. 29-ში მდებარე, შსს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის, სამტრედიის დროებითი მოთავსების იზოლატორის სარემონტო სამუშაოები.

1.2 **პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი** ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 02)

განმახორციელებელი შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 02	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება	10 160.0	9 639.7	9 614.5	99,74%	116 241.6

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა;

საანგარიშო პერიოდში ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 174 594 გასვლა;

მიმდინარეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული და სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ასევე, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- მეტად დახვეწილი და გამართული დაცვითი მომსახურება;
- თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სისტემებით აღჭურვილი დასაცავი ობიექტები;
- თანამედროვე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი ოპერატიული რეაგირების, დაცვა-გაცილების და ინკასაციის ჯგუფები, ასევე, დასაცავი ობიექტები;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად რეაბილიტირებული და აშენებული დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გამართული დაცვითი მომსახურება;
- განახლებული ცენტრალური დაკვირვების პულტის მოძველებული ტექნიკური საშუალებები თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით;
- შეძენილი ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასაციისთვის განკუთვნილი 15 ერთეული დაჯავშნილი ავტომანქანა, ოპერატიული რეაგირების ჯგუფებისთვის, არაგაბარიტული ტვირთებისა და სხვა ფასეულობათა დაცვა-გაცილებისთვის - 38 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა, ოპერატიული რეაგირების ჯგუფებისთვის 10 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომანქანა;
- გარემონტებული დეპარტამენტის ბალანსზე არსებული შენობების 6%.

დაგეგმილი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს 12 905 ობიექტის დაცვას. აქედან საპოლიციო ძალით დაცულია 722 ობიექტი, ტექნიკური საშუალებებით - 11 688 ობიექტი, შერეული დაცვა (საპოლიციო ძალა+ტექნიკური საშუალებები) ხორციელდება 277 ობიექტზე, პირადი დაცვით უზრუნველყოფილია 218 ფიზიკური პირი. GPS-ით დაცული ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 1995 ერთეულს.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 10%-ით გაზრდილი არსებული მაჩვენებელი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს 13 568 ობიექტის დაცვას. აქედან, საპოლიციო ძალით დაცულია 720 ობიექტი, ტექნიკური საშუალებებით – 12 325 ობიექტი, შერეული დაცვა (საპოლიციო ძალით და ტექნიკური საშუალებებით ერთდროულად) ხორციელდება 267 ობიექტზე, პირადი დაცვით უზრუნველყოფილია 256 ფიზიკური პირი. GPS-ით დაცული ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 2 050 ერთეულს.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილება 5%. გაზრდილია დასაცავი ობიექტები, ვინაიდან გაიზარდა მოთხოვნა დაცვის პოლიციის მომსახურეობაზე.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - AES და SIS პროგრამული მომსახურება უზრუნველყოფს საქართველოს მასშტაბით 12 000-მდე აბონენტის გამართულ მუშაობას, თანამედროვე ციფრული რადიოკავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფილია ქ. თბილისი და მისი შემოგარენი, აჭარის რეგიონი, ფულადი სახსრების, მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველო და ოპერატიული რეაგირების ჯგუფები. გასაახლებელია დაცვის სიგნალის გადაცემისა და მიღების სისტემა სრულად, რეგიონალურ დანაყოფებში სიგნალების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა (არსებული კომპიუტერული ტექნიკა ამორტიზირებულია), ასევე ქ. თბილისში მდებარე დაცვაში არსებული ობიექტებისთვის SMS შეტყობინებების დაგზავნის სერვისი. საჭიროა აბონენტთა პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების 14 000-მდე გაზრდა. ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში ტექნიკურად გასაახლებელია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, დასანერგია გარე პერიმეტრის დაცვის სისტემები.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სრულად განახლებული დაცვის სიგნალის გადაცემისა და მიღების სისტემა, რეგიონალურ დანაყოფებში განახლებული სიგნალების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, დაცვის ქვეშ მყოფი აბონენტებისთვის SMS შეტყობინებების გაუმჯობესებული,

მყისიერი დაგზავნის სერვისი, გადაიარაღებული ქსელური ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, საჰაერო ქსელური მოწყობილობა, სერვერები);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - განახლებულია ცენტრალური დაკვირვების პულტის ტექნიკური საშუალებები და უზრუნველყოფილია ცენტრალური დაკვირვების პუნქტის შეუფერხებელი და გამართული მუშაობა. სრულად განახლდა დაცვის სიგნალის გადაცემისა და მიღების სისტემა, რეგიონალურ დანაყოფებში განახლდა სიგნალების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, გაუმჯობესდა დაცვის ქვეშ მყოფი აბონენტებისთვის SMS შეტყობინებების მყისიერი დაგზავნის სერვისი, გადაიარაღდა ქსელური ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, საჰაერო ქსელური მოწყობილობა, სადისპეჩერო სერვერები);

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულია 337-მსუბუქი ავტომობილი, 81 ჯიპი და პიკაპი, 12-სამგზავრო (ავტობუსი, მიკროავტობუსი), 1 სატვირთო ავტომობილი, 109 - დაჯავშნილი მანქანა, 2-სპეც ტექნიკა (ევაკუატორი). ზენორმატიული დატვირთვის გამო ინკასაციის მანქანები ხშირად გამოდის მწყობრიდან, ასევე ოპერატიული რეაგირების მანქანები მიეკუთვნება მაღალი რისკის ჯგუფს და ხვდებიან ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილეები, შესაბამისად ინკასაციის და ოპერატიული რეაგირების ჯგუფის მანქანებს ხშირად ესაჭიროება ჩანაცვლება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შეძენილი ან ჩანაცვლებული ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისათვის 20 ერთეული დაჯავშნილი ავტომანქანა, ოპერატიული რეაგირების ჯგუფების და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილებისათვის 20 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა, ოპერატიული რეაგირების ჯგუფების და დასაცავი ობიექტებისათვის 10 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შეძენილი ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისათვის 15 ერთეული დაჯავშნილი ავტომანქანა, ოპერატიული რეაგირების ჯგუფებისათვის, არაგაბარიტული ტვირთების, ფეთქებადი, ნარკოტიკული საშუალებებისა და სხვა ფასეულობათა დაცვა-გაცილებისათვის - 38 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა, ოპერატიული რეაგირების ჯგუფებისათვის 10 ერთეული მაღალი გამავლობის (პიკაპის ტიპის) ავტომანქანა, რომლებიც გამოიყენება მაღალმთიან და მთაგორიან რეგიონებში;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილება 26%. დასაცავი ობიექტების ზრდისა და დასაცავი ობიექტების სპეციფიკიდან გამომდინარე (განგაშის მიღებიდან 3-დან 5 წუთში ობიექტზე მისვლა) საჭირო გახდა ოპერატიული ა/მანქანების დამატება. ასევე, ხშირია ავტოსაგზაო შემთხვევები, რასაც მწყობრიდან გამოყავს არსებული ავტოპარკი და საჭიროებს მუდმივ განახლებას. გაზრდილია არაგაბარიტული და სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილების მოთხოვნა, საქმიანობის შეუფერხებელი და სრულყოფილი შესრულებისთვის საჭიროა, როგორც არსებული პარკის განახლება, ასევე, ახალი სატრანსპორტო საშუალებების დამატება.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საანგარიშო პერიოდში დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება 65 შენობა, საიდანაც 34 შენობა აკმაყოფილებს სამუშაო პირობების სტანდარტებს, ხოლო 17 შენობას ესაჭიროება კოსმეტიკური რემონტი და 14 შენობას - კაპიტალური რემონტი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - გარემონტებული აჭარის დპს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რდპს, ქ. თბილისის სამმართველო. დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის კეთილმოწყობილი ეზო, აშენებული იმერეთი-გურიის რდპს ჭიათურის ქვეგანყოფილების, მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოს შენობები, გარემონტებული

ადმინისტრაციული შენობის მე-6 სართულის ნაწილი (125 სამეთვალყურეო პულტის ოთახი), დასაცავი ობიექტებისათვის შეძენილი 10 ცალი და გარემონტებული 150 ცალი დაცვის ჯიხური;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - გარემონტებული ინკასაციის, მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკური პირთა დაცვის სამმართველოების ადმინისტრაციული შენობა, კახეთის რდპ სამმართველოს გურჯაანის ქვეგანყოფილების ადმინისტრაციული შენობა, დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მე-5 სართულის ნაწილი (125 განყოფილების სამეთვალყურეო პულტის ოფისებისათვის); დიპლომატიური მისიების, მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა დასაცავი ობიექტებისათვის გარემონტებული 185 ერთეული. დაცვის საგუშაგო ჯიხური; საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება: დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე სასერვერო ოთახის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის და აჭარის დპ სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილება 55 %.

გარემონტებული ინკასაციის, მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკური პირთა დაცვის სამმართველოების ადმინისტრაციული შენობა - ერთ შენობაშია განლაგებული ინკასაციის და მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველო;

გარემონტებული კახეთის რდპ სამმართველოს გურჯაანის ქვეგანყოფილების ადმინისტრაციული შენობა - ძირითადად გარემონტდა დეპარტამენტის ისეთი დანაყოფები, სადაც შენობები საკმაოდ მოძველებულია, იმდენად რომ საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. წლების განმავლობაში არ ჩატარებულა მიმდინარე ან კაპიტალური რემონტი. ძლიერი წვიმებისა და მძიმე კლიმატური პირობებიდან გამომდინარე დაბზარულია სამუშაო ოთახების კედლები, სანიტარული კვანძები ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, რის გამოც ხშირია სისტემის მწყობრიდან გამოსვლა.

გარემონტებული დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მე-5 სართულის ნაწილი (125 განყოფილების სამეთვალყურეო პულტის ოფისებისათვის) - მე-6 სართულის მაგივრად 125 სამეთვალყურეო პულტის ოთახი მოეწყო მე-5 სართულზე,

დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე სასერვერო ოთახის სარემონტო სამუშაოები - დასაცავ ობიექტებზე ცენტრალური დაკვირვების პულტის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სერვერების განახლება. დეპარტამენტში არსებული სერვერები ექსპლუატაციაშია 2010 წლიდან (საჭიროებს განახლებას, მოდერნიზაციას). სერვერების განახლება უზრუნველყოფს ქ. თბილისსა და რეგიონალურ დანაყოფებში 100%-ით განახლებულ AES და SIS სისტემურ და პროგრამულ მომსახურეობას, რეგიონალურ დანაყოფებში 100%-ით განახლებულ სიგნალების მართვის პროგრამას, რეგიონალურ პულტებზე გააქტიურებულ SMS სერვისს, ასევე უზრუნველყოფს ტექნიკური საშუალებებით დაცვაში არსებული აბონენტების რაოდენობის გაზრდას 18000-მდე. არსებული კომპიუტერული ტექნიკა ამორტიზირებულია, შესაბამისად ვერ უძლებს დატვირთვას, ხშირია კრიტიკულ მომენტში გათიშვის შემთხვევები (პიკის საათებში, როდესაც ხდება 8000-მდე ობიეტის ერთდროული დახურვა/გახსნა), რაც იწვევს მთლიანი "პულტის" სამუშაო პროცესის შეფერხებას. შესაბამისად, ვერ ხერხდება ინციდენტებზე დროული რეაგირება, აგრეთვე ვერ ხერხდება დროულად SMS შეტყობინებების დაგზავნა. განახლების შედეგად დეპარტამენტი შეძლებს ზემოთხსენებული პრობლემების აღმოფხვრას, კერძოდ, გაიმართება დუბლირებული სერვერების სისტემა სადაც მოხდება დატვირთვის გადანაწილება 2 სერვერზე, ცალკეულ სერვერზე ჩაიწერება SMS შეტყობინებების დასაგზავნი პროგრამა (მნიშვნელოვნად შემცირდება გაგზავნის დროს და დამატებით დატვირთვას ააცილებს მონიტორინგის სისტემას). აგრეთვე, ერთ სერვერზე გაიმართება GPS სისტემა, ბაზა სადაც შეინახება ობიექტების კოორდინატები და მოხდება რუქაზე საგანგაშო ობიექტის ვიზუალიზაცია ოპერატორებთან და მორიგე ოფიცერთან დამონტაჟდება დუბლირებული სადისპეჩერო სადგურები, რომლის მეშვეობითაც მორიგე ოფიცერი მოახდენს რეალურ დროში ყველა განგაშის,

დაკავების ჯგუფების გადაადგილების და საგანგაშო ობიექტებზე სიტუაციის მონიტორინგს. აგრეთვე, ქოლ ცენტრში დამონტაჟდება 4 სადისპეჩერო სადგური, რის შედეგადაც პიკის საათის დროს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდება ც.დ.პ. - ს დატვირთვა;

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები - ქ. თბილისში, ბუდაპეშტის ქუჩაზე მდებარე დეპარტამენტის შენობაში უახლესი ტექნოლოგიებით განხორციელდა ოფისის მოწყობა, სადაც განთავსდება მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი, ფიზიკური და იურიდიული პირები მიიღებენ დეტალურ (კვალიფიციურ) ინფორმაციას დეპარტამენტის საქმიანობისა და მისი მომსახურებების შესახებ, შეავსებენ განაცხადებს, გაფორმდება ხელშეკრულებები. ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოადგენს დეპარტამენტის საიმიჯო პროექტს, რომლის ამოქმედებაც დადებითად იმოქმედებს დეპარტამენტის და შინაგან საქმეთა სამინისტროს იმიჯზე, ასევე გამოიწვევს დამატებითი შემოსავლების მობილიზებას;

გარემონტებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რდპს, ქ. თბილისის სამმართველო - ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გადაიდო 2019 წლისთვის;

დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის კეთილმოწყობილი ეზო - საანგარიშო პერიოდში ვერ მოესწრო აღნიშნული სამუშაოების განხორციელება და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გადაიდო 2019 წლისთვის;

აშენებული იმერეთი-გურიის რდპს ჭიათურის ქვეგანყოფილება - მიწის ნაკვეთი, რომელზეც უნდა აშენებულიყო აღნიშნული ქვეგანყოფილება, სარგებლობა გადაცემული აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, შესაბამისად, მიმდინარეობს მოლაპარაკებები მიწის გაცვლის თაობაზე;

დასაცავი ობიექტებისთვის შეძენილი 10 ერთეული დაცვის ჯიხური - დასაცავი ობიექტებისთვის გამოყენებული იქნა გარემონტებული ჯიხურები.

1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა - (30 05)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	**დასახელება**	**წლიური დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური დაზუსტებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
30 05	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა					71 886.6

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდისთვის მეორე ეტაპის (რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში) დამატებას, სატრანსპორტო საშუალებების არსებული კატეგორიებისთვის/ქვეკატეგორიებისთვის ახალი კატეგორიების/ქვეკატეგორიების დამატებასა და არსებული კატეგორიების ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის მართვის მოწმობების შესახებ დირექტივის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას;
- მომზადდა საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც მიზნად ისახავს სააგენტოს არსებული მომსახურებებისთვის ახალი მომსახურების სახეების დამატებას (მაგ. გირავნობის/ლიზინგის დაჩქარებული წესით რეგისტრაცია, სატრანსპორტო საშუალების სააღრიცხვო ნომრისა და საიდენტიფიკაციო ნომრის ადგილზე დადამღვა და სხვა) და არსებული მომსახურებების დახვეწა-განვითარებას;
- მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს სანადირო იარაღებზე გამოცდის გაუქმებას;
- მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს სააგენტოსთვის მართვის უფლების ან/და იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის მქონე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების სამედიცინო დაწესებულებიდან გამოთხოვის უფლების მინიჭებას;

- მომზადდა შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანება, რომლის საფუძველზეც, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ თეორიული გამოცდის ბილეთებს დაემატა ეკო-მართვასთან დაკავშირებული საკითხები;
- მომზადდა შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს სააგენტოს მომსახურების დახვეწას და პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას.
- საანგარიშო პერიოდში მომზადდა საგამოცდო მარშრუტები რეგიონების მიხედვით და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად დაიწყო მუშაობა შერჩეული მარშრუტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად;
- საანგარიშო პერიოდში სააგენტომ განახორციელა აქტიური საინფორმაციო კამპანია მართვის მოწმობების ვადების, შეცვლის პროცედურების და საფასურების შესახებ. კამპანიის ფარგლებში გაიმართა რეგიონალური მედია ტურები, ასევე, ინფორმაციის გავრცელების მიზნით, მოეწყო შეხვედრები ყველა რეგიონალური ტელეკომპანიის, საინფორმაციო სააგენტოს/რადიოს ჟურნალისტებთან;
- საანგარიშო პერიოდში შესყიდული და დამონტაჟებული იქნა სააგენტოს ყველა შენობისთვის UPS-ები;
- საანგარიშო პერიოდში შესყიდული და დამონტაჟებული იქნა ოთხი ერთეული სახელმწიფო სანომრე ნიშნების საბეჭდი/საპრესი აპარატი;
- განხორციელდა IT უსაფრთხოებისათვის განკუთვნილი აპარატურის და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია/კონფიგურაცია რაც უზრუნველყოფს სააგენტოს IT უსაფრთხოების დონის ამაღლებასა და ინფორმაციის დაცულობას;
- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესყიდულია და ამოქმედებულია სააგენტოს ვებ გვერდზე ონლაინ ჩათი;
- განახლდა საინფორმაციო ცენტრის სატელეფონო სადგური (Call Manager - Cisco), რითაც ცენტრი აღიჭურვა ახალი კრიტიკული ტექნიკური შესაძლებლობებით. კერძოდ, დღეს ცენტრის მიერ უკვე შესაძლებელია განხორციელდეს ზარების ჩაწერა და ზარების რეალურ დროში მონიტორინგი;
- განხორციელდა სააგენტოს არქივაციის პროცესების შესწავლა და სტანდარტიზაცია მატერიალური სახით წარმოდგენილი დოკუმენტების შენახვის ოპტიმიზაციის კუთხით;
- ჩამოყალიბდა სააგენტოს სერვისცენტრებში ელექტრონული რიგის მართვის სისტემის მუშაობის ახალი მოდელი, რაც საპილოტედ განხორციელდა რუსთავის სერვის ცენტრში, ასევე, განისაზღვრა საერთო მოთხოვნები ელექტრონული რიგის მართვის სისტემის მიმართ სააგენტოს შესაბამის სერვის ცენტრებში დანერგვის მიზნით;
- სააგენტოს რებრენდინგის პროექტის ფარგლებში შემუშავდა სააგენტოს საკომუნიკაციო პლატფორმა და შეიქმნა სააგენტოს ვიზუალური იდენტობა (Brand Book);
- შსს თანამშრომლებისათვის, ასევე მათი ოჯახებისათვის შემუშავდა ლოიალურობის ბარათის (Police Card) პლატფორმის კონცეფცია, ასევე, დამუშავდა კონცეფციის განხორცილების ფინანსური მოდელი საბანკო სექტორთან და შესაბამის სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებთან;
- დამუშავდა და მომზადდა მართვის მოწმობაში Am კატეგორიის დამატების და შესაბამისად ამავე კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის კონცეფცია;
- მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის, როგორც მოედნის, ასევე, ქალაქის რეალურ საგზაო პირობებში ჩასატარებლად შესყიდულია 6 ერთეული მოტოციკლი, სატვირთო მიკროავტუბუსი, სამგზავრო მიკროავტობუსი და ავტობუსი შესაბამისი აღჭურვილობებით და მისაბმელით, სულ 7 ერთეული;
- ქალაქში საგზაო მოძრაობის გამოცდის გატანასთან დაკავშირებით მოხდა C, D, E კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების საგამოცდო ელექტრონულ-სენსორული სისტემით აღჭურვა, სულ 22 ერთეული;
- განხორციელდა სააგენტოს კომპიუტერული ინფრასტრუქტურის კორპორატიული ანტივირუსული სისტემით აღჭურვა;

- IT ინციდენტების მართვის სისტემის დანერგვის პროექტის ფარგლებში განხორციელდა საკონსულტაციო მომსახურების მიღება და შესაბამისი პროცედურისა და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა;
- ჩატარდა მთავარი ქსელური კვანძების და ფილიალთაშორის ქსელური კავშირების მდგრადობის ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებული სამუშაოები;
- სააგენტოს ბიზნეს სერვისების უწყვეტობის ხარისხის ამაღლების მიზნით დაინერგა IT ინფრასტრუქტურის და ელექტრონული სერვისების მუშაობის მონიტორინგის სისტემა;
- მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის ქალაქის რეალურ საგზაო პირობებში ჩატარების მიზნით, სააგენტოს რუსთავის და ახალციხის ფილიალების ტერიტორიაზე მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- სააგენტოს ქუთაისის ფილიალში ყველა კატეგორიისთვის მოეწყო (გარდა B კატეგორიის) საგამოცდო მოედანი;
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის შეძენილ და გადაცემული იქნა საჭირო საწვავი და უნიფორმები;
- გაიმართა მძღოლთა გადამზადებისა და ტესტირების საერთაშორისო ორგანიზაციის რიგით 50-ე კონგრესი, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ განხორციელებული საქმიანობები, მძღოლთა განათლების საერთაშორისო სტანდარტები. ასევე, მომსახურების სააგენტოს მიერ წარდგენილი იქნა პრეზენტაცია სააგენტოს საქმიანობისა და საქართველოს შესახებ. CIECA-ს 51-ე საერთაშორისო კონგრესის ჩატარების ლოკაციად შერჩეულ იქნა საქართველო, რომელსაც 2019 წელს თბილისი უმასპინძლებს.
- მხარდაჭერილი იქნა ტექინსპექტირების ცენტრების ოპერირების დაწყების პროცესი, რის ფარგლებშიც შეიქმნა მათთან ელექტრონული ინფორმაციის გაცვლის ავტომატიზირებული მექანიზმი.
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების ადმინისტრირების პროცესის მხარდასაჭერად შეიქმნა საპატრულო ეკიპაჟებისთვის ტექნიკური ინსპექტირების შესახებ ინფორმაციის ელექტრონულად მიწოდების მექანიზმი.
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების ადმინისტრირების პროცესის მხარდასაჭერად შეიქმნა ჭკვიან კამერებთან ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის ავტომატიზირებული მექანიზმი.
- მხარდაჭერილი იქნა ქ.თბილისის ტაქსების ლიცენზირების პროცესი, რის ფარგლებშიც შეიქმნა ქ.თბილისის მერიასთან ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მართვის მოწმობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის ავტომატიზირებული მექანიზმი.
- მხარდაჭერილი იქნა ქ.თბილისის, ქ. ქუთაისის და სხვა ქალაქების ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების ადმინისტრირების პროცესი, რის ფარგლებშიც შეიქმნა შესაბამის მუნიციპალიტეტებთან ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის ავტომატიზირებული მექანიზმი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- მეტად დახვეწილი, მოქნილი და გამართული მომსახურების პროცესი;
- განახლებული საგამოცდო ავტოპარკი;
- სააგენტოს რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- დაიხვეწა და მეტად მოქნილი და გამართული გახდა მომსახურების პროცესი.
- განახლდა საგამოცდო ავტოპარკი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მომსახურების მიმღები მოქალაქეებიდან 100% უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის მომსახურებით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 550 000 მოქალაქეს და 270 ორგანიზაციას.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდების მიმდინარეობის პროცესში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება საგამოცდო ავტომანქანების მწყობრიდან გამოსვლა და ამით ფერხდება საგამოცდო პროცესი საგამოცდო მანქანების 60% საჭიროებს შეცვლას;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - განახლებული საგამოცდო ავტოპარკის 60%;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - არსებული ავტოპარკი სრულად იქნა ჩანაცვლებული ახალი ავტომანქანებით (შეძენილი და შესაბამისი საგამოცდო ტექნიკით აღჭურვილი იქნა 37 ავტომანქანა).

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს ინფრასტრუქტურის 70% საჭიროებს რეაბილიტაციას;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის 50%;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - *2018 წელს არ განხორციელებულა არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.*

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - საანგარიშო პერიოდში მოქალაქეთა გაზრდილი მომართვიანობის და შექმნილი რიგების გამო ვერ მოხერხდა არსებული შენობების რეაბილიტაცია.

1.4 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (30 06)

განმახორციელებელი - **<u>შსს სსიპ „112“</u>**

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 06	<u>საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება</u>					11 112.1

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- მიღებული იქნა საგანგებო სიტუაციების და გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ შეტყობინებები, რომელებიც დამუშავებულ იქნა შესაბამისი მომიჯნავე სამსახურების მიერ და გაწეულ იქნა კოორდინირებული მუშაობა 112 -ის კომპეტენციის ფარგლებში;
- ამოქმედდა 112-ის მობილური აპლიკაცია, რომელსაც უკვე ჰყავს 18 952 მომხმარებელი;
- სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით ექსპლუატაციაში შევიდა ახალი ადმინისტრაციული შენობა;
- ქოლ-ცენტრში სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა 35 დესქტოპ კომპიუტერი (ქეისი), 120 მონიტორი, 35 ვიდეოკარტა, 140 ადაპტერი, 240 ყურსასმენი და 130 ყურსასმენის ინტერფეისი;
- დასრულდა თბილისის ქოლცენტრის შენობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები;
- დადებული ხელშეკრულების შესაბამისად გაწეულ იქნა ევაკუატორით მომსახურეობის სერვისი, როგორც საპატრულო პოლიციისთვის, ასევე, სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის;
- შემუშავდა შსს სსიპ 112-ის 2018 – 2022 წლების სტრატეგიული დოკუმენტი;
- შემუშავდა და დამტკიცდა საგანგებო და კრიზისული სიტუაციების სამოქმედო გეგმის დოკუმენტი;

- 112-ის მომსახურების გაუმჯობესებისა და ხარისხის მართვის მიზნით, შემუშავდა და დამტკიცდა მომსახურებისა და ქცევის სტანდარტები;

- 112-ის სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელდა 839 მსმენელის მომზადება/გადამზადება, მათ შორის: 645 - პატრულ ინსპექტორი/ოცმეთაური, 30 - კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი, 77 - ქოლ ცენტრის მოქმედი ოპერატორი, 60 - ქოლ ცენტრის ოპერატორობის კანდიდატი, 12 - თბილისის სასწრაფო სამედიცინო ცენტრის თანამშრომელი, 15 - საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრის თანამშრომელი;

- საქართველოს წითელ ჯვართან ერთად დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებისთვის პერიოდულად იმართებოდა პირველი გადაუდებელი დახმარების ტრენინგები;

- 112-სა და სსიპ ,,განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“ (EMIS) შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) დახმარებით 112-ის ოპერატორს საშუალება აქვს ისეთი შემთხვევის დროს, როცა დაზარალებული ბავშვია და არ იცის მისამართი, მაგრამ იცის სკოლის სახელწოდება, ოპერატიულად დაადგინოს მისი საცხოვრებელი მისამართი და მშობლების საკონტაქტო ინფორმაცია;
- შეიცვალა სამუშაო გრაფიკი, რაც გულისხმობს 10 კალენდარულ დღეში 7 სამუშაო დღის ნაცვლად 6 სამუშაო დღეს;
- შეიქმნა ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი ჯგუფები, რითაც გაუმჯობესდა უცხოენოვანი ინიციატორების მომსახურების სერვისი;
- 112-ში, თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ბრიგადებისთვის და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟებისთვის შეიქმნა ელექტრონული მართვის სისტემა, რომელიც ონლაინ რეჟიმში პლანშეტების მეშვეობით გადაეცემათ ინფორმაცია ბრიგადებს/ეკიპაჟებს;

- სტატისტიკური მონაცემების უკეთ დამუშავების მიზნით 112-ის სამუშაო ბაზაში დაემატა რამდენიმე ახალი ფუნქციონალი. დამუშავდა ოჯახში ძალადობის საქმეების ანალიზის, სტატისტიკისა და პრევენციის საკითხები;

- სსიპ 112-მა 30-მდე ქვეყნის დელეგაციას უმასპინძლა;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

სსიპ – 112-ის გაუმჯობესებული მომსახურება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაუმჯობესებულია სსიპ – 112-ის მომსახურება.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სსიპ - 112 საქართველოს ტერიტორიიდან შემოსულ გადაუდებელი დახმარების შესახებ ზარებს ყოველწამიერ რეჟიმში პასუხობს. საჭირო გადაუდებელი დახმარების მიმღები მოქალაქეებიდან 100% უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის მომსახურებით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებული არსებული მაჩვენებელი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს შეიქმნა მობილური აპლიკაცია „112 საქართველო“, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქესა და „112“-ის ოპერატორს შორის უმოკლეს დროში კავშირის დამყარებისა და ადგილმდებარეობის დაუყოვნებლივ განსაზღვრის შესაძლებლობას. 2018 წლის მდგომარეობით 18 952 მომხმარებელია რეგისტრირებული. აპლიკაცია ადაპტირდა მხედველობის არმქონე პირებისათვის. სსიპ „112“ ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს, სთავაზობს SMS და ვიდეო ზარის სერვისს. UN Women-თან თანამშრომლობით, სსიპ „112“-ის მობილურ აპლიკაციაში დაემატა ჩანართი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის, სადაც განთავსდა ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ოჯახური ძალადობის თემაზე მუშაობენ და იმ ცხელი ხაზის ნომრები, სადაც შესაძლებელია დაკავშირება ძალადობის შემთხვევაში. სსიპ „112“-სა და დაცვის პოლიციასთან შეთანხმებით აეწყო განგაშის სიგნალის მიღების სერვისი და საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობს eCall-ის პროექტი.

2. **სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:** <u>განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება</u>

2.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (30 03)

განმახორციელებელი - სსიპ საქართველოს შსს აკადემია

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 03	**<u>სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია</u>**	6 170.0	6 359.7	6 334.3	99,60%	726.3

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამაგისტრო, საბაკალავრო, სპეციალური, პროფესიული და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე გადამუშავდა სასწავლო პროგრამები;

წლის განმავლობაში განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის პროფესიონალი კადრების მომზადება და გადამზადება;

განხორციელდა საშუალო რგოლის კვალიფიციური და პროფესიონალი საპოლიციო კადრების მომზადება და გადამზადება;

უზრუნველყოფილი იქნა საარქივო საქმიანობა;

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში განთავსებული მასალების დაცვა, როგორც მომავალი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის, ისე პიროვნებების იდენტიფიცირებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების აღდგენისათვის;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- შსს აკადემიის ეფექტური ფუნქციონირება;

საბაკალავრო და სამაგისტრო კურსებზე სწავლების მსურველთა გაზრდილი მაჩვენებელი;

- შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მომზადებული და გადამზადებული პროფესიონალი კადრები;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არქივი, გლობალურ ქსელში ჩართული საარქივო ელექტრონული ბაზა;
- რეაბილიტირებული და აშენებული ინფრასტრუქტურა;
- განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და განახლდა 43 პროგრამა, კურსი და ტრეინინგი. საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა გაიარეს შესაბამისი გადამზადება /მომზადების კურსები და პროგრამები. ტესტირება გაიარა 9 392 პირმა. მომზადება-გადამზადების კურსებზე ჩაირიცხა 20 831 მსმენელი (საბაზისო 523 მსმენელი, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება 3616 მსმენელი, ელექტრონული სწავლება 16 692 მსმენელი). მოხდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შეიქმნა საარქივო მასალების ელექტრონული ბაზა და საძიებო სისტემა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - აკადემიაში მოქმედებდა სამართლის საბაკალავრო პროგრამა და საჯარო სამართლის პროგრამა „საპოლიციო რეგულირების სფეროში“ 2018 წლის მდგომარეობით აკადემიაში სწავლება გაიარა 234 ბაკალავრმა და 9 მაგისტრანტმა; გამოცდები ტარდება მატერიალური სახით - ქაღალდზე დაბეჭდილი საგამოცდო საკითხებით, ასევე ელექტრონულად;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაკალავრო კურსებზე ჩარიცხული 100 სტუდენტი; სამაგისტრო კურსებზე ჩარიცხული 10 სტუდენტი; სტუდენტებისთვის სწავლების და გამოცდების ჩატარება „როზეტა სტოუნის“ პროგრამის მეშვეობით; საპოლიციო სპეციალიზაციის განვითარების მიზნით შესაბამისი მიმართულებით გადამზადებული ლექტორების რაოდენობა; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით სტუდენტების მიერ რეგისტრაციის გავლისა და საგნების არჩევის შესაძლებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი — დაგეგმილი ღონისძიებები არ განხორციელებულა;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - *ცდომილება* 100%, საანგარიშო პერიოდში საქართველოს შსს აკადემიაში გაუქმდა სამართლის სკოლა, რის გამოც ვერ შესრულდა დაგეგმილი ღონისძიებები.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სწავლების ახალ მოდელზე გადასვლის მიზნით საჭიროა შესაბამისი ინსტრუქტორების გადამზადება; სპეციალური პროფესიული სწავლების ადმინისტრირებისთვის აკადემიაში შექმნილი და დანერგილია პროფესიული სწავლების ელექტრონული სისტემა, რომელიც ასევე მოიცავს ელექტრონული სალექციო ცხრილების პროგრამას. მიმდინარეობს ახალი კურსის შემუშავება: თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 10 გადამზადებული ინსტრუქტორი; 10 გადამზადებული მასწავლებელი; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით მსმენელების მიერ რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შეძენილია სტუდენტური ბაზების მართვის ელექტრონული სისტემის პაკეტი. განახლდა სტუდენტთა ტესტირების სისტემა „Questionnaire”, ტესტირება გაიარა 9 392 პირმა, მათ შორის 7 085 მისაღები კანდიდატი, 2 307 მოქმედი პოლიციელი. შემუშავდა მსმენელთა ელ.გვერდის მობილური აპლიკაციის სისტემა. შემუშავდა და განახლდა 24 პროგრამა და კურსი, ასევე 22 ტრეინინგი. ქართული ენის სწავლის მსურველებისთვის შედგა

სპეციალური პროგრამა, რომელიც პერმანენტულად ახლდება. დისტანციური სწავლების დანერგვის და გაუმჯობესების მიზნით ქვეყნის მასშტაბით 10 სხვადასხვა რეგიონში მომზადდა სასწავლო გარემო. შესაბამის ცენტრებს გადაეცათ სწავლებისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და ინვენტარი, მიმდინარეობს სწავლების პროცესის მუდმივი განახლება. გადამზადდა 11 ინსტრუქტორი (7 სასწავლო ვიზიტი, 4 სამუშაო ვიზიტი)

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სამართლის სკოლის გაუქმების გამო 10 მასწავლებლის გადამზადება არ მომხდარა. აღნიშნულის გათვალისწინებით მოხდა დაგეგმილზე ერთით მეტი ინსტრუქტორის გადამზადება.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - არქივში დაცული მასალების 50% დიგიტალიზირებულია. მასალების დიდი ნაწილი გაბნეულია სხვადასხვა სათავსოებში, რომელთა ნაწილი არ არის აკადემიის საკუთრებაში. ამასთანავე, არსებულ შენობებში სტანდარტები არაა დაცული, რაც იწვევს უნიკალური ისტორიული ღირებულების მქონე მასალების დაზიანება-განადგურების მომეტებულ საფრთხეს, არ არსებობს საარქივო მასალების ელექტრონული ბაზა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - რესტავრირებული - მასალების 10%; დიგიტალიზირებული - მასალების 25%; ელექტრონული ბაზის მეშვეობით მრავალმხრივი და მოხერხებული სერვისების მიწოდებით უზრუნველყოფილი დაინტერესებული მოქალაქეების 100%; შექმნილი საგნობრივ-თემატური და ანბანური საძიებო რელაციური სისტემები.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - რესტავრირებული - უშიშროების არქივის მასალების 10%; დიგიტალიზირებული - მასალების 15%; შეიქმნა ელექტრონული ბაზები, რომლის მეშვეობით ხდება მრავალმხრივი და მოხერხებული სერვისების მიწოდება მოქალაქეებზე; შექმნილია საგნობრივ-თემატური და ანბანური საძიებო რელაციური სისტემები.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ნაცვლად დაგეგმილი 25 %-ისა მოხდა მასალების 15%-ის დიგიტალიზაცია, რადგან ამ პროცესისთვის განკუთვნილი სპეციფიკური სკანერი გამოვიდა მწყობრიდან და მოახდინა სამუშაო პროცესის შეფერხება.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭიროებს მუდმივ განახლებას რათა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 25-%-ით განახლებული აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შეძენილია 30 ახალი პროექტორი, რომლითაც აღიჭურვა სასწავლო აუდიტორიები.

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - შსს აკადემიის სტუდენტების და მსმენელების 100% უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ეფექტური სასწავლო პროცესით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებული არსებული მაჩვენებელი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - არსებული მაჩვენებელი შენარჩუნებულია, სწავლის პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად.

6. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - აკადემიის ინფრასტრუქტურა საჭიროებს მუდმივ რეაბილიტაციას და შეკეთებას რათა სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს შესაბამის გარემოში;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შენობებისათვის შეკეთებული სახურავები

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საცურაო აუზის სახურავის რეაბილიტაცია და შიდა სივრცის რემონტი. გაკეთდა იმიტირებული პოლიციის ოფისი, გარემონტდა 1 სავარჯიშო დარბაზი. მოეწყო საშხაპეების სივრცე და გამოსაცვლელი ოთახი მსმენელებისთვის. განხორციელდა სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაცია.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ტენდერების ეკონომიის ხარჯზე გაკეთდა იმიტირებული პოლიციის ოფისი, მოეწყო საშხაპეების სივრცე და გამოსაცვლელი ოთახი მსმენელებისთვის, გარემონტდა 1 სავარჯიშო დარბაზი.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა

ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

1.1 **პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი** *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა 30 04*

განმახორციელებელი სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 04	*საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა*	3 650.0	4 828.0	4 827.8	99.9%	457,6038

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაზიანებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა მათი ოჯახების წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;

ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით განხორციელდა ბენეფიციართა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა) დისპანსერიზაცია, სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება;

საანგარიშო პერიოდში დადგენილი წესით ჩატარებულ იქნა სამხედრო-საექიმო კომისიები;

საანგარიშო პერიოდში შეძენილი იქნა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სისხლის საერთო ანალიზატორი, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალური სიზუსტის დიაგნოსტირებას და მოკლე დროში ახორციელებს უფრო მეტი პაციენტის მომსახურებას, ვიდრე არსებული, აგრეთვე მოიხმარს უფრო ნაკლებ რეაქტივს და ამცირებს სამსახურის ხარჯს.

სამსახურის მიერ შეძენილ იქნა თანამედროვე სტანდარტების ციფრული რენტგენის აპარატი, რისი საშუალებითაც გაუმჯობესდა დიაგნოსტირების ხარისხი და გაიზარდა მომართულ პაციენტთა რაოდენობა.

შესყიდულ იქნა 2 კომპლექტი სტომატოლოგიური სავარძელი, რისი საშუალებითაც მოხდა 1 კაბინეტის დამატება და 1 კომპლექტი მოძველებული სავარძლის ჩანაცვლება. ასევე დამონტაჟდა ახალი სტომატოლოგიური რენტგენი და ვიზიოგრაფი, რომელთა მეშვეობითაც, ციფრული ფორმით ხდება დიაგნოსტირება და მონაცემების გადაცემა ექიმ-სპეციალისტთან.

მიდმინარე სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა სამსახურის ადმინისტრაციულ შენობას და სამხედრო-საექიმო კომისია განთავსდა ახლადგარემონტებულ ფართში. რემონტის შედეგად გაიზარდა ოთახების რაოდენობა, რაც ზრდის მომართულ კონტიგენტთა გამტარიანობას და მოკლე დროში ხარისხიანი მომსახურებით უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირებული რაოდენობა; შენარჩუნებული ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

ყველა მომართული ბენეფიციარი (1 372 პაციენტი ქვეყნის შიგნით და 54 პაციენტი ქვეყნის გარეთ) უზრუნველყოფილ იქნა თანამედროვე და შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო საშუალებებით.

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი - საჭიროების შემთხვევაში სამსახურის ბაზაზე მოსამსახურეთა 100% უზრუნველყოფილია შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობით (ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ);

მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებული საბაზისო მაჩვენებელი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2018 წელს სამსახურის ბაზაზე (არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) მომართულ კონტიგენტთა 100% უზურნველყოფილ იქნა სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებით, კერძოდ: ექიმ-სპეციალისტებთან განხორციელდა 76 059 ვიზიტი; სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია 6 284 პაციენტს; განხორციელდა 3 865 სხვადასხვა ულტრაბგერითი კვლევა; ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 10 542 გამოკვლევა; ფიზიოთერაპიულ კაბინეტში განხორციელდა 28 924 პროცედურა; რენტგენოგრაფიულად გაშუქდა 21 914 პაციენტი; ჩატარდა 51 125 სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევა; საინექციო კაბინეტში განხორციელდა 2 315 პროცედურა; მასაჟის კაბინეტში ჩატარებულ იქნა 5 532 სამკურნალო პროცედურა; სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა 6 917 პირმა. სხვადასხვა კლინიკებში (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ) ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობა გაეწია 1 435 პაციენტს. სამსახურის ბაზაზე ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების ციფრული რენტგენის აპარატი, რისი საშუალებითაც გაუმჯობესდა დიაგნოსტირების ხარისხი და გაიზარდა მომართულ პაციენტთა რაოდენობა.